გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2018 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე 261,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 118,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: 05.28.41.008) ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“-სათვის 7 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური სარგებლობის საფასური (სიმბოლური) განისაზღვროს 100,0 (ასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ შორის 2012 წლის 18 ივნისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, მცირე საოჯახო ტიპის სახლის პოტენციური ბენეფიციარების შეფასება-განთავსებისა და საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების სასკოლო განათლებით, ჯანდაცვისა და სხვა სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაქმების ცენტრს სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე 261,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 118,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობება (საკადასტრო კოდი: 05.28.41.008). ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე მხარეთა შორის 2012 წლის 24 ოქტომბერს დადებული შეთანხმებით მითითებული ქონებით სარგებლობის ვადად განისაზღვრა წელი, რომელიც ამოიწურა 2018 წლის 18 ივნისს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 14 დეკემბერს შემოტანილი N195/12 (N33781/25) წერილით ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ ითხოვს ზემოთ აღნიშნული ფართის, 7 წლით, სიმბოლურ ფასად - 100 ლარად სარგებლობაში გადაცემას, საქმიანობის გაგრძელების მიზნით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“, საქმიანობის გაგრძელების მიზნით, სიმბოლურ ფასად, სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე 261,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 118,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობება (საკადასტრო კოდი: 05.28.41.008) და სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 100,0 (ასი) ლარის ოდენობით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართების ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“-სათვის სასყიდლიან (სიმბოლურ ფასად) სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 100,0 (ასი) ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი

ეგარსლან ლომაძე

Batumi Education Development and Employment Center (BEDEC)

ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი

№195/12

14/12/2018

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერს

ბ–ნ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

მოგახსენებთ,რომ 2005 წელს ბათუმის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს World Vision-ის დაფინანსებით გაიხსნა პირველი სამოდელო მცირე საოჯახო ტიპის სახლი.მცირე საოჯახო ტიპის სახლი ემსახურება 18 წლამდე ახალგაზრდებს.ამჟამად,ჩვენი სახლი ემსახურება 6 აღსაზრდელს.პროგრამის მიზანია რისკისა და მიუსაფარი მოზარდების საჭიროებების დაკმაყოფილება და მათთვის ოჯახური გარემოს შეთავაზება.

მოგახსენებთ,რომ მისამართზე (26 მაისის ქუჩა N106), სადაც ხორციელდება მომსახურეობა,სარგებლობის უფლება ჩვენ ორგანიზაციას გააჩნია 2018 წლის 24 ოქტომბრამდე.

ამჟამად,ორგანიზაციას რეგისტრაციას უგრძელდება „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N601 დადგენილების პირობათა შესაბამისად.

ჩვენი ორგანიზაციის მიერ მომსახურების უწყვეტობის დადასტურების მიზნით საჭიროა განახლებული ქონების საკუთრების ან ქონებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმ სააგენტოში რეგისტრირებული ან ნოტარიულად დამოწმებული საბუთი.

გთხოვთ, გაგვიფორმოთ მემორანდუმი 7 წლის ვადით, 100 ლარის ოდენობით (სიმბოლურ თანხად)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება
№ 33781/25
14 12 2018 წ.
შემავალი ბრძანება 1 ფურცელი

პატივისცემით,

მაია ქათამაძე

ა(ა)იპ ფონდ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი"-ის დირექტორი

13, K.Gamsakhurdia str. Batumi, 6010, Georgia

Phone (+ 995 4222) 1 7013, Mobile (+995 93) 730293

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

ქ.ბათუმი 18 „ივნისი" 2012 წ.

წინამდებარე მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა კეთილი ნების საფუძველზე თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს, წარმოდგენილი ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი კირთაძის სახით (შემდგომში - „თვითმმართველ ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანო") და ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი"-ს, მისი დირექტორის მაია ქათამაძის სახით ერთობლივ განაცხადს თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1. მემორანდუმის მიზნები და ამოცანები

მემორანდუმის მიზანია:

ა) მცირე საოჯახო ტიპის სახლის პოტენციური ბენეფიციარების შეფასება-განთავსებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების სასკოლო განათლებით, ჯანდაცვისა და სხვა სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის განხორციელება;

ბ) მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვებისთვის მატერიალურ-ტექნიკური და ყოფითი პირობების სხვაგვარად გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე „თვითმმართველ ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანო" იღებს ვალდებულებას:

2.1.1. ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს" წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობისათვის გამოუყოს თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №106-ში მდებარე 118,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობა მასზე მიმაგრებულ 261,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.28.41.008) ერთად.

2.2. ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს:

2.2.1. სოციალური მუშაკის მიერ მცირე საოჯახო ტიპის სახლის პოტენციური ბენეფიციარების შეფასება და მათი საქმეების მომზადება რეგიონალურ საბჭოზე წარსადგენად;

2.2.2. მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების მიმწოდებლის დასწრება მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონალური საბჭოს სხდომებზე;

2.2.3. მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებული ბავშვ(ებ)ის უსაფრთხო და დროული ადაყვანა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ბავშვ(ებ)თან დაკავშირებული დოკუმენტაციის თანხლებით;

2.2.4. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების სასკოლო განათლებით, ჯანდაცვისა და სხვა სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობა და ასევე, მათ ბიოლოგიურ ოჯახებთან კონტაქტის სიხშირისა და ფორმების განსაზღვრა.

2.2.5. სოციალური მუშაკის მიერ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციართა საქმეების პერიოდულად გადასინჯვა, ინდივიდუალური განვითარების გეგმების მომზადება.

2.2.6. მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოველდღიური საქმიანობის მართვა.

მუხლი 3. სხვა პირობები

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

3.2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით. შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის თაობაზე 30 (ოცდაათი) დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს.

3.3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის ერთი ეგზემოლიარი.

თვითმმართველ ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანო	ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი"
საკრებულოს თავმჯდომარე	დირექტორი:
გიორგი კირთაძე	მაია ქათამაძე
(სახელი, გვარი)	(სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

მხარეთა შეთანხმება

ქ. ბათუმი 24.10.2012წ.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანო, წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი კირთაძის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ქათამაძის სახით შევთანხმდით შემდეგზე:

1. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს" შორის 2012 წლის 18 ივნისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის 2.1.1. პუნქტით გამოყოფილი უძრავი ქონების სარგებლობის ვადა განისაზღვროს 6 (ექვსი) წლით და შესაბამისად აღნიშნულ მემორანდუმში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის 2.1.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს" წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობისათვის 6 (ექვსი) წლის ვადით გამოეყოს თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე 118,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობა მასზე მიმაგრებულ 261,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.28.41.008) ერთად.".

2. წინამდებარე შეთანხმება გაფორმებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

თვითმმართველი ქ. ბათუმის	ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის
აღმასრულებელი ორგანო	განათლების, განვითარებისა და
საკრებულოს თავმჯდომარე:	დასაქმების ცენტრი"
გიორგი კირთაძე	დირექტორი:
	მაია ქათამაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაცია

N 13779-25 24/10/2018

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსს
ბატონ ეგარსლან ლომაძეს

ბატონო ეგარსლან,

თქვენი 2018 წლის 23 ოქტომბრის №13736 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩა №106-ში მდებარე 118,68კვ.მ. შენობისა და მასზე დამაგრებული 261.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.28.41.008) ა(ა)იპ ფონდ ,,განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი"-ს მიერ სარგებლობის საკითხს გაცნობებთ, რომ 2012 წლის 18 ივნისს თვითმმართველ ქალაქ ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ ფონდ ,,განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი"-ს შორის გაფორმებულ მემორანდუმში მხარეთა შორის დადებული ცვლილების შესაბამისად, ა(ა)იპ ფონდ ,,განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს" 6 (ექვსი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაეცა ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩა №106-ში მდებარე 118,68კვ.მ. შენობა და მასზე დამაგრებული 261.00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.28.41.008) (2.1.1. პუნქტი). იმის გათვალისწინებით, რომ გასულია შეთანხმებით განსაზღვრული ვადა, ა(ა)იპ ფონდ ,,განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი"-სათვის ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობაში გადაცემის საკითხი უნდა განიხილოთ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად.

დანართი „01" ფურცელი.

პატივისცემით,
ნუკრი დეკანაძე

ადმინისტრაციის უფროსი

6010 ლუკა ასათიანის ქ. №25 ტელ: 0 (422) 27 26 09